

ინფორმაციაზე „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების თაობაზე

გენერალური აუდიტორი	
<p>„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით, შემოსავლების მუხლის საპროგნოზო მაჩვენებელი 2015 წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით 139 მლნ ლარით შემცირდა და 7,951 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. აღნიშნული ძირითადად განაპირობა საგადასახადო შემოსავლებიდან მისაღები შემოსულობების ოდენობის 200 მლნ ლარით შემცირებამ. კერძოდ, მნიშვნელოვნად მცირდება საშემოსავლო, აქციზისა და ომპორტის გადასახადების მოცულობები, შესაბამისად, 135 მლნ, 47 მლნ და 46 მლნ ლარით. თუმცა, აღნიშნულის პარალელურად, წარმოდგენილი კანონპროექტით 51 მლნ ლარით გაიზარდა მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსულობების ოდენობა და 951 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, რამდენადაც მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსულობის ოდენობა დამოკიდებულია გასული (2014) წლის ეკონომიკურ ზრდაზე, (ვინაიდან 2015 წელს ხორციელდება 2014 წლის პერიოდში მობილიზებული შემოსავლის დეკლარირება, გადასახადისა და მიმდინარე გადასახდელების გადახდა) ცვლილების კანონის პროექტით წარმოდგენილი მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდის მიმართულებით დაკორექტირების საჭიროება, შედსამლებელია გათვალისწინებული ყოფილიყო 2015 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. მოგების გადასახადის სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის დამატებითი დასაბუთების საჭიროებასთან დაკავშირებით, ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის შესახებ“.</p>	<p>2015 წლის ბიუჯეტის დაიგეგმა 2014 წლის სექტემბერი-ნოემბერი პერიოდში, შესაბამისად 2014 წლის მშპ-ს წლიური მონაცემის საბოლოო მაჩვენებლები ამ პერიოდში ხელმისაწვდომი არ იყო და მისი პირველადი მაჩვენებელი გამოქვეყნდა 2015 წლის მარტში. შესაბამისად, მიმდინარე ტენდენციებზე და დაზუსტებულ მაკროეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა 2015 წლის ბიუჯეტში მოსალოდნელი მოგების გადასახადის ოდენობის დაზუსტება.</p>
<p>რაც შეეხება იმპორტის გადასახადს, წარმოდგენილი კანონპროექტით მისი საპროგნოზო მაჩვენებელი დაკორექტირდა კლების მიმართულებით 2015 წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით. იმპორტის გადასახადის სახით მისაღებ შემოსავალსა და იმპორტის მოცულობას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა (ელასტიურობის კოეფიციენტი განსაზღვრულია 1 ერთეულის ოდენობით). შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის ბიუჯეტის კანონზე თანდართული „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტის მიხედვით 2015 წლის საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობის ზრდა 14,1%-ის დონეზე დაიგეგმა, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, ანალოგიური მაჩვენებელი 5,8%-ის დონეზე იქნა განსაზღვრული, იმპორტის გადასახადის სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის დამატებითი დასაბუთების საჭიროებასთან დაკავშირებით, ყურადღება იქნა</p>	<p>იმპორტის მოცულობისა და იმპორტის გადასახადის 2015 წელს არსებული ტენდენციის გათვალისწინებით მოხდა იმპორტის გადასახადის მობილიზაციის მოცულობის პროგნოზის გადახედვა.</p>

<p>გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „2015 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის შესახებ“.</p>	
<p>სხვა შემოსავლების კუთხით, საყურადღებოა 2015 წლის მიმდინარე მდგომარეობით მისი ცალკეული კომპონენტების მობილიზების ტენდენციების მიმართება როგორც კვარტალური, ისე წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებლებთან. კერძოდ, რენტის სახით 2015 წლის პირველი 5 თვის მდგომარეობით აკუმულირებულ იქნა 11 მლნ ლარი, მაშინ როცა მისი წლიური გეგმიური მაჩვენებელი მხოლოდ 7 მლნ ლარს შეადგენს. ანალოგიურად ნებაყოფლობითი ტრანსფერების მუხლით (გრანტების გარდა) მობილიზებული საბიუჯეტო რესურსების ოდენობა 5 თვის მდგომარეობით 6 მლნ ლარი შეადგინა და 4 მლნ ლარით გადააჭარბა მის წლიურ საპროგნოზო მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში არაფერია ნათქვამი აღნიშნული შემოსავლების მობილიზების ტენდენციებთან დაკავშირებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილ კანონპროექტში ასახული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს მიმდინარე წლის მობილიზების ტენდენციებს და ასახავდეს მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ სურათს.</p>	<p>ნაწილობრივ გათვალისწინებულია</p>
<p>ცალკეული პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის 2015 წლის ბიუჯეტის კანონში ცვლილების პროექტით გათვალისწინებულია ასიგნებების მნიშვნელოვანი შემცირება 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონთან შედარებით, თუმცა აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორებში ცვლილებები არ განხორციელებულა. შედეგად, გაურკვეველია თუ კონკრეტულად რომელი ღონისძიებების შეჩერებას გამოიწვევს ასიგნებების აღნიშნული შემცირება და ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული რომელი მოსალოდნელი შედეგები არ იქნება მიღწეული.</p>	<p>იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებიდან რესურსების მობილიზება, მხარჯავ დაწესებულებებს ეთხოვათ წარმოედგინათ ცვლილების პროექტი იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით, რომელთა ასიგნებების შემცირება შესაძლებელი იყო იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო პროგრამის ძირითად მიზნებისა და ამოცანების შესრულების შესაძლებლობა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული რესურსი საკმარისი იქნება წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად.</p> <p>ამასთან, პროგრამების/ქვეპროგრამებისათვის განსაზღვრული ინდიკატორები ხშირ შემთხვევაში საშუალოვადიან პერიოდზეა გათვლილი და ასიგნებების ცვლილება ზოგად პარამეტრზე გავლენას არ ახდენს.</p> <p>ამასთან, ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ამ მიმართულებით საჭიროა შემდგომი მუშაობა და არსებული პრაქტიკის დახვეწა.</p>
<p>აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ბოლოს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით დაგეგმილია სახელმწიფო ვალის ნაშთის ზრდა 32,8%-ით, აღნიშნული კი დაახლოებით 6-ჯერ აღემატება მოსალოდნელი ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპს. წარმოდგენილი კანონპროექტით, სახელმწიფო ვალის ზრდა ძირითადად განპირობებულია ეროვნული ვალუტის გაუფასურებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს,</p>	<p>სახელმწიფო ვალის ზრდა, როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ძირითადად განპირობებულია ეროვნული ვალუტის გაუფასურებით, რაც ძირითადად გამოწვეულია საგარეო შოკებით და არ შეიძლება მივაწეროთ ვალის მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკას. ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად (რომელიც ამჟამად განხილვის ეტაპზეა), იმისთვის, რომ შემცირდეს სახელმწიფო</p>

<p>რომ იცვლება დაფინანსების სტრუქტურაც. კერძოდ, ერთი მხრივ, 100 მლნ ლარით მცირდება საშინაო ვალის მოცულობა, ხოლო მეორე მხრივ 114 მლნ ლარით იზრდება საგარეო წყაროებიდან მისაღები კრედიტების ოდენობა. შედეგად, საბიუჯეტო წლის ბოლოსთვის საგარეო ვალის წილი სახელმწიფო ვალის პორტფელში 78%-მდე გაიზარდება.</p> <p>ეკონომიკური ზრდის შენელებისა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფონზე, რაც უარყოფითად აისახება სახელმწიფო ვალის ტვირთის მაჩვენებელზე (ვალი/შშპ) და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ცდება სტრატეგიული დოკუმენტით „საქართველო 2020“-ით განსაზღვრულ ლიმიტს მიზანშეწონილია წარმოდგენილ კანონპროექტს თან ერთვოდეს სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნებოდა არსებული გამოწვევების გათვალისწინებით სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასება, როგორც საშუალო, ასევე, გრძელვადიან პერიოდში.</p>	<p>ვალის პორტფელის სავალუტო რისკთან დაკავშირებული მოწყვლადობა, მომავალ წლებში დაგეგმილია, რომ მთლიანი მოზიდული სესხებიდან საშინაო სესხების წილი ეტაპობრივად გაიზარდოს. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ვალისა და შშპ-ს ზრდის ტემპების შედარება არ ქმნის ობიექტურ სურათს, რადგან ზრდის ტემპებს შორის განსხვავება ძირითადად გამოწვეულია ერთჯერადი ეფექტით. ასევე მიგვაჩნია, რომ არ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ მომავალ წლებში ტენდენციის გაგრძელება და მიმდინარე წლის დინამიკის მომავალ წლებზე ექსტრაპოლაცია არასწორია.</p> <p>ფინანსთა სამინისტრო ვალის ფორმირების პროცესში გაცვლითი კურსის რისკს მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავს. შესაბამისად, საშინაო ვალის წილის ზრდა ვალის პორტფელში მიზანმიმართული პროცესია, რასაც ადასტურებს ფაქტობრივი მონაცემები ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილის ეტაპობრივი შემცირების შესახებ. კერძოდ ეს პროპორცია 2012 წელში 79,1 პროცენტთან დღევანდელი მდგომარეობით 76,9 პროცენტამდე შემცირდა. ეს მაჩვენებელი 72 პროცენტამდეც კი შემცირდებოდა თუ გაცვლითი კურსის ცვლილებას არ გავითვალისწინებთ. აღნიშნული სტრატეგია საშინაო ვალის წილის გაზრდის შესახებ მომავალშიც გაგრძელდება. შესაბამისად, დასკვნაში აღნიშნული საგარეო ვალის წილის ზრდა 78 პროცენტამდე არ იძლევა სრულყოფილ სურათს.</p> <p>მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზზე, რომელიც პარლამენტს წარედგინება 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშთან ერთად. აქვე ავღნიშნავთ, რომ ვალის მდგრადობის ანალიზი პირველად გაკეთდა 2014 წლის ბოლოს და დანართის სახით დაერთო 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. ეს პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება.</p>
<p>გამომდინარე იქედან, რომ 2015 წელს მისაღები საგარეო საკრედიტო რესურსის უდიდესი ნაწილი კვლავ საინვესტიციო ხასიათისაა, მნიშვნელოვანია შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ გამოყოფილი სახსრების ეფექტიანი ათვისება, რათა თავიდან იქნეს აცილებული 2013 წლისა და 2014 წლის პირველი 9 თვის მსგავსად თანხების ათვისების დაბალი მაჩვენებლები და შედეგად, სესხის მომსახურებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაწევა, რაც გამოიხატებოდა სესხის აუთვისებელ ნაწილზე ვალდებულების გადასახადის გადახდით.</p>	<p>დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს გააჩნია უმეტეს შემთხვევაში თავისი პროცედურები, რომელთა ზედმიწევნით დაცვა ზოგ შემთხვევაში იმაზე მეტ დროს მოითხოვს ვიდრე დაგეგმილია. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება წლის მანძილზე გარკვეული პრობლემების წარმოშობა კონტრაქტორ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას ან სხვა ობიექტური ფაქტორები, რის გამოც შესაძლებელია ბიუჯეტით თავდაპირველად დაგეგმილი ღონისძიებები გაიწელოს და გადავადდეს დროში</p>
აგრარული კომიტეტი	
<p>სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ხარჯების 285 000 ლარით შემცირებამ შესაძლოა შეაფერხოს სურსათის კონტროლის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, რაც გულისხმობს სამომსახურებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების აღკვეთას. აღსანიშნავია ისიც, რომ „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და</p>	<p>იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებიდან რესურსების მობილიზება, მხარჯავ დაწესებულებებს ეთხოვათ წარმოედგინათ ცვლილების პროექტი იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით, რომელთა ასიგნებების შემცირება შესაძლებელი იყო იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო პროგრამის</p>

<p>მათგან წარმოებული გენმოდირეცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ კანონის თანახმად, 2015 წლის 1 ივლისიდან სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია დაიწყოს ბაზარზე განთავსებული სურსათ/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდირეცირებული ორგანიზმებისა და პროდუქტის ეტიკეტირების კონტროლი, რაც გარკვეულ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომიტეტს მუხანშეუწონლად მიაჩნია სურსათის უვნებლობის კონტროლის კუთხით ხარჯების შემცირება.</p>	<p>ძირითად მიზნებისა და ამოცანების შესრულების შესაძლებლობა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული რესურსი საკმარისი იქნება წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად</p>
<p>საქართველოს ეროვნული ბანკი</p>	
<p>საგარეო შოკების მხრივ მნიშვნელოვანია, რომ გაზრდილია გაურკვეველობა მათ შორის აშშ დოლარის კიდევ უფრო გამყარებისა და რეგიონი ეკონომიკების გაუარესების კუთხით როგორც ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, ასევე ევროზონაში მიმდინარე პროცესების გამო.</p>	<p>წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს არსებული საგარეო შოკების გავლენას საქართველოს ეკონომიურ განვითარებაზე. განახლდა მაკროეკონომიკური განვითარების საბაზო სცენარი, სადაც აისახა საგარეო და საშინაო ბაზრებზე არსებული მდგომარეობა.</p>
<p>მნიშვნელოვანია არსებულ შოკებზე ქმედითი რეაგირება მომავალი შესაძლო გაუარესებისაგან დასაცავად ბუფერების შექმნა. კერძოდ, არსებული შოკების პირობებში, პოლიტიკის სწორი რეაგირება იქნებოდა ეკონომიკურ ზრდაზე კონცენტრირება და გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში სოციალური და სხვა პრობლემების მიზნობრივი გადაწყვეტა. ვითვალისწინებთ, რომ აღნიშნული პოლიტიკა დაკავშირებულია ადმინისტრაციულ და სხვა პრობლემებთან, ამიტომ უნდა იყოს განხილული ალტერნატიული პოლიტიკა. კერძოდ, გაცვლითი კურსის ხელშეწყობა, ისე რომ მოსახლეობის შემოსავლებს მინიმალური ზარალი მიადგეს როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ წლებში.</p>	<p>ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილება წარმოადგენს პასუხს მიმდინარე შოკებსა და გამოწვევებზე. ამ ეტაპზე გაკეთდა მაქსიმუმი მონეტარული პოლიტიკის მხარდასაჭერად. შემცირებულია საშინაო დაფინანსება და წნეხი საპროცენტო განაკვეთებზე, ასევე გაზრდილია გრანტები და საგარეო დაფინანსება, რაც წარმოადგენს უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ წყაროს.</p>
<p>ზემოაღნიშნული პოლიტიკა გულისხმობს ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას ან/და არსებული საგადასახადო მექანიზმების გამოყენებას, როგორც აღნიშნული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მთავრობასთან კონსულტაციის ფარგლებში. ამასთან, ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს უპირატესად მიმდინარე ხარჯების კლებით.</p> <p>წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არ ითვალისწინებს წლის მეორე ნახევარში კურსზე ზეწოლის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს. კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მცირდება მხოლოდ 48 მლნ ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იზრდება 99 მლნ ლარით.</p> <p>პროექტით, ასევე არ არის დაგეგმილი ცვლილებები საგადასახადო კუთხითაც, რაც ხელს შეუწყობდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას და შედეგად გაცვლით კურსზე წნეხის შერბილებას.</p> <p>წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებებში საყურადღებოა ხარჯების განაწილება მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებს შორის. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მიმდინარე ხარჯები იზრდება 15 მლნ ლარით, ხოლო კაპიტალური ხარჯები მცირდება 55 მლნ ლარით. ნაერთ ბიუჯეტშიც კაპიტალური ხარჯების კლება მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე ხარჯების შემცირებას.</p> <p>მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს</p>	<p>ნათლად არ არის ფორმულირებული თუ რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს „არსებული საგადასახადო მექანიზმების გამოყენების“ მიზნით. საკომიტეტო განხილვის დროს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირდა, რომ არ იგულისხმება გადასახადების ზრდა, თუმცა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ბუნდოვანია რეკომენტაციის შინაარსი, ხოლო თუ ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით გადასახადების განაკვეთის ზრდა იგულისხმება, მაშინ ბანკის წინადადებები უფრო გარკვევით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. გასათვალისწინებელია, რომ გადასახადის განაკვეთების ზრდა საჭიროებს რეფერენდუმის მოწყობას.</p> <p>დასკვნაში შემოთავაზებული პრინციპი ხარჯვითი ნაწილის კიდევ უფრო შემცირების თაობაზე. ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ითვალისწინებს სამინისტროებისა და სხვა მხარჯავი დაწესებულებები ასიგნებების შემცირებას 160.0 მლნ ლარამდე (ამ რესურსიდან 105 მლნ ლარამდე მობილიზება ხდება ბიუჯეტით გათვალისწინებულ ფონდებში, რაც გამოყენებული იქნება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად), რაც ძნელად ჩაითვლება მცირე კორექტირებად, მათ შორის 60 მლნ ლარამდე მცირდება ისეთი მუხლები, როგორცაა შრომის ანაზღაურება,</p>

<p>პარლამენტის წევრების მხრიდან არაერთხელ გამოითქვა წუხილი ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით, რამაც რთული პირობები შეუქმნა დოლარის სესხების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. შესაბამისად, თუ პარლამენტის მიზანია ლარის გაუფასურების გამო სასესხო ტვირთის შემცირება ან შემდგომში ალტერნატივა - ლარის გაცვლითი კურსის დამატებითი გაუფასურების ზეწოლის განეიტრალება, საჭიროა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რაც არა არის გათვალისწინებული წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით.</p> <p>პროექტით, ასევე არ არის დაგეგმილი ცვლილებები საგადასახადო კუთხითაც, რაც ხელს შეუწყობდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას და შედეგად გაცვლით კურსზე წნეხის შერბილებას.</p>	<p>საქონელი და მომსახურება და სუბსიდიები.</p> <p>არსებული გამოწვევების ფონზე ხარჯვით ნაწილის მეტად შემცირება შესაძლებელია იყოს მხოლოდ თეორიული მსჯელობის საგანი და სხვა შემთხვევაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის კიდევ უფრო შემცირება აუცილებლად აისახება სხვადასხვა პროგრამების განხორციელებაზე და მათ შორის გავლენას მოახდენს მოსახლეობის შემოსავლებზე (პროგრამის ბენეფიციარებისა და შესაბამის პროგრამებზე დასაქმებული პირებზე გავლენის, ასევე ეკონომიკურ აქტივობაზე ირიბი გავლენების გათვალისწინებით) და შესაბამისად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.</p> <p>ამასთან, გასული პერიოდის სტატისტიკა და დაკვირვებები აჩვენებს, რომ საქართველოში ფისკალური ოპერაციების გავლენა ლარის გაცვლით კურსზე არ არის არსებითი, აქედან გამომდინარე, დარწმუნებით არ შეიძლება საუბარი იმაზე, საერთოდ იქნება თუ არა ეფექტიანი ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული შემზღუდავი მექანიზმები გაცვლითი კურსის გაუფასურებით მიღებული წნეხის შესამსუბუქებლად, მაშინ როდესაც რეალური სექტორისათვის ცალსახად უარყოფით გავლენას იქონიებს.</p>
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	
<p>რამდენად გამართლებულია ცალკეული უწყებების, კერძოდ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ისეთი პროექტების დაგეგმვა, რომელთა თაობაზე წინასწარვე ცნობილია, რომ დიდი ალბათობით ვერ განხორციელდება და შესამცირებელი გახდება (საქმე ეხება ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შესამცირებელ 55 მლნ ლარს.)</p>	<p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართავს საკმაოდ დიდ ბიუჯეტს, რომელიც ძირითადად შედგება დონორების დაფინანსებული პროექტებისაგან. დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს გააჩნია უმეტეს შემთხვევაში თავისი პროცედურები, რომელთა ზედმიწევნით დაცვა ზოგ შემთხვევაში იმაზე მეტ დროს მოითხოვს ვიდრე დაგეგმილია. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება წლის მანძილზე გარკვეული პრობლემების წარმოშობა კონტრაქტორ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას ან სხვა ობიექტური ფაქტორები, რის გამოც შესაძლებელია ბიუჯეტით თავდაპირველად დაგეგმილი ღონისძიებები გადავადეს დროში</p>
<p>ბიუჯეტის პროგრამებსა და პრიორიტეტებში არაფერია ნათქვამი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. მომხსენებელმა პირველი შენიშვნა გაიზიარა, ხოლო მეორის თაობაზე აღნიშნა, რომ 2015 წლის ბიუჯეტი იმთავითვე არ ითვალისწინებდა ამ საკითხს და რომ მისი პრიორიტეტულობა გათვალისწინებული იქნება 2016 წლის ბიუჯეტში.</p>	<p>გათვალისწინებული იქნება 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში</p>